

2019 წელს განხორციელებული სამუშაოები



2019 წელს კასპის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამუშაოებიდან პრიორიტეტი ინ-

მომდინარე წელს სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა სოფელ



ფრასტრუქტურის გაუმჯობესება - განვითარებას მიენიჭა. ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებებია ჩატარებული კულტურის, სპორტის, განათლების სფეროში. უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის ჯანდაცვა და სოციალური დახმარება, რომელზეც 2019 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 837 121 ლარი დაიხარჯა.



ილარში. 7 სოფლის წყალმომარაგების დაფინანსება 2 373 414 ლარია.

გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურა, კერძოდ: ქალაქ კასპში მოასფალტდა და კეთილმოეწყობა ბორჯომის ქუჩა "ნატბეურას" გავლით პაატას ქუჩის გადაკვეთამდე, ჩოლოყაშვილის და გრიშაშვილის ქუჩები. წინარეხი-ქვათახევის, ქვემო ხანდაკის, შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეტეხი-

ქვემო გომი-ნათლისმცემლის ეკლესიის საავტომობილო გზები.

დასრულდა მუნიციპალიტეტის სოფლების: ვაკე-პანტიანის მისასვლელი გზა, მოასფალტდა ქალაქის №4 საჯარო სკოლის მოპირდაპირე მხარეს კონსტიტუციის ქუჩაზე რკინიგზის ქვეშ გასასვლელი გზა, რომელიც ნალექიან ამინდში გაუვალი იყო. ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებზე 11 674 900 ლარი დაიხარჯა.

მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად საკანალიზაციო სისტემების მოწყობაზე, წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან 9 ქუჩასა და ჩიხებზე 1 222 468 ლარის სამუშაოები შესრულებული. პროცესი გაგრძელდება. ვიდრე სრულად არ მოიცავს ქალაქის დარჩენილ ქუჩებს.



ლარია.

თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლების ახალი შენობების აშენება კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება. წელს დაიწყო კოდისწყაროს და წინარეხის საჯარო სკოლების მშენებლობა 60 მოსწავლეზე

წელს ქვემო გომის საჯარო სკოლაც დაემატება 150 მოსწავლეზე, რომლის ტენდერი უკვე გამოცხადებულია. ასევე გრძელდება სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მეორე ფლიგელის მშენებლობა. წამში საჯარო სკოლების მშენებლო-

მოსწავლეზე გათვლილი პროფესიული სასწავლებლის (3 893 624 ლარი) მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამები რეგიონში მოთხოვნად პროფესიებს ეფუძნება. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, ადგილზე



(ღირებულება 2 219 327 ლარი), რომელიც 2020 წელს დას-

ბის ღირებულება 8 109 327 ლარია. ახალგაზრდების

დაეუფლონ სხვადასხვა მოთხოვნად პროფესიებს და შეძლონ



რულდება.

აღნიშნულ სკოლებს 2020

სწავლება, დასაქმების და განვითარების მიზნით ქალაქში 200

დასაქმება. პარალელურ დასასრული გვ-3.



2019 წელს განხორციელებული სამუშაოები



დასასრული.

რად მიმდინარეობს რეგიონალური ინოვაციების ცენტრის, ტექნოპარკის მშენებლობა - რაც იძლევა საშუალებას ახალგაზრდებმა პროფესიული განათლება შეუთავსონ იმ შესაძლებლობებს, რასაც ტექნოპარკი იძლევა.

2019 წლის პროექტიდან ხაზგასმით უნდა აღინიშნოს



ნოს წარმატებული სპორტული პროექტი, რომელიც კასპში საფეხბურთო ისტორიის გაგრძელების საწინდარია.

24 ნოემბერს ქალაქში საზეიმოდ გაიხსნა ევროპული სტანდარტების ფეხბურთის სტადიონი, რომელიც გათვლილია 500 მაყურებელზე, ასევე სავარჯიშო მიწის

სტადიონი და სრულად რეაბილიტირებული საფეხბურთო სკოლის შენობა.

149 998 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის ექვსი სოფლის: დოესის, ახალქალაქის, ახალციხის, ოკმის, ივოეთის და ალაიანის სასოფლო ამბულატორიებს.

წლის განმავლობაში 203 054 ლარის გარეგანათების სამუშაოები შესრულდა, როგორც ქალაქში ასევე სოფლებში.

ყოველწლიურად იზრდება გაზიფიცირებული სოფლების რაოდენობა. სულ ახლახან სოფელ ნიგოზაში ცისფერი ალი აინ-

თო. 286 430 ლარის ფარგლებში დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა კასპში, სოფელ ოკამსა და თვალადში.

ს ო ფ ე ლ



დასაქმებაზე.

“აწარმოე საქართველოში” - სახელმწიფო პროგრამამ ადამიანებს საკუთარი ბიზნესის შექმნის და გაფართოების საშუალება მისცა. მუნიციპალიტეტის მერია ხელს უწყობს

000 ლარის გრანტით.

მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კულტურული და სპორტული მოსახურების მიზნით ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, ფესტივალები, ოლიმპიადები, გამოფენები, სახალხო

პალიტეტს ჰყავს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონები.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 2019 წელს აღდგა “სოფლის მხარდაჭერის პროგრამა”. კასპის მუნიციპალიტეტს სახ-

მრავალი ჭალაში 51 164 ლარის ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა მდინარე ლეხურას.

წლებია უკვე მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბინათამხანაგობების პროექტების ღირებულების 95%-ს, ხოლო ამხანაგობა ფარავს მხოლოდ 5%-ს.



ელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 9 34 000 ლარი, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 556 271 ლარი დაემატა.

1 490 271 ლარი მოხმარდა სოფლის კრებებზე მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებას: სასმელი და სარწყავი წყლის, გარეგანათების, მოსაცდელების მოწყობას, გზების მოხრეშვის, სკოლების, საბავშვო ბაღების და სპორტული მოედნების შემოღობვას.

მუნიციპალიტეტის მერიამ 2020 წლისათვის უკვე მოამზადა განსახორციელებელი პროექტები. თითოეული პროექტი ამჯერადაც მუნიციპალიტეტის განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.



მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების თანხამ 118 685 ლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, საირიგაციო სისტემების გაწმენდით სამუშაოებს ატარებდა შპს „საქართველოს მელიორაცია“.

საქართველოს მთავრობა ზრუნავს მეწარმეობის განვითარებასა და

კასპში პროექტი “გახდი ახალგაზრდა მეწარმე“-ს განხორციელებას.

პირველ ეტაპზე კასპს უკვე ჰყავს 10 000 ლარის გრანტით დაფინანსებული ახალგაზრდა გიორგი ნიპარიშვილი.

ამ დღეებში გამოვლინდა მეორე ეტაპის გამარჯვებულები: თამაზ მცურავიშვილი დაფინანსდა 10000 ლარის გრანტით, დიმიტრი ჩიჩუა დაფინანსდა 5

დღესასწაულები.

კულტურის ცენტრში იმართება სპექტაკლები, წარმოდგენები ცნობილი ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით.

ბევრმა კასპელმა სპორტსმენმა (ჭილაობა, კარატე, კალათბურთი, ბავშვთა ფეხბურთი) წარმატებებს მიაღწია არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც. მუნიცი-

სიამაყითა და ღირსეულად ატარებს სასირეთის საჯარო სკოლა მისი დამაარსებლის, ისტორიული პიროვნების, დაუმარცხებელი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის სახელს... 1919 წელს სოფელ სასირეთში გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა საკუთარი სახსრებით თავის კუთვნილ მიწაზე ააშენა დაწყებითი სკოლა, რომლის პირველი დირექტორი გახლდათ ლავრენტი ბარნაბიშვილი, აქ 1924 წლიდან უკვე არსებობდა ხუთწლიანი სკოლა, ხოლო 1928-1929 სასწავლო წელს სოფელს ჰქონდა შვიდწლიანი სკოლა, რომლის დირექტორი იყო თამარ ქარქაძე, 1938-39 სასწავლო წლიდან კი, სკოლას ხელმძღვანელობს თამარ მჭავანაძე... 1940-41 სასწავლო წელს სასირეთის სკოლამ გამოუშვა პირველი ათწლიანი კურსდამთავრებულები. ერთი სიტყვით, ეს სკოლა ემსახურებოდა სასირეთის, ბარნაბიანთკარის, თელიანის / ყარადაჯის/, გრაკლის მოსახლეობას და საშუალო სკოლების გახსნამდე, ზემო ხანდაკისა და დოესის ახალგაზრდობაც აქ იღებდა სრულ საშუალო განათლებას.

დრო გადიოდა და იცვლებოდნენ სკოლის ხელმძღვანელებიც, რომელთა შორის იყვნენ: შოთა ბახტაძე, თამარ მჭავანაძე, ელისაბედ გეჯაძე და ბოლოს, ნანი ბარნაბიშვილი, რომელიც 2007 წლიდან უძღვება სკოლას და დიდი წარმატებითაც... წლები დადიანის 15 ნოემბერი მნიშვნელოვან თარიღად აღინიშნება სკოლის ისტორიაში, დღე, როდესაც სოფელში ზემოთ აღინიშნა სკოლის დაარსებიდან ასი წლის იუბილე.

იუბილარ სკოლას ბევრი სტუმარი დაესწრო, აქ იყვნენ საგანგებოდ მოწვეული სხვადასხვა თაობის წარჩინებული კურსდამთავრებულები, უკვე პენსიაზე გასული დედაწამოსილი პედაგოგები, ამ სკოლაში აღზრდილი სახელოვანი სპორტსმენები და ხელოვნანები, მუსიკოსები, ბიზნესმენები და ფინანსისტები... იუბილარ სკოლას სტუმრობდა შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამაზ ტატანაშვილი, მწერალი დათო ტურაშვილი, კასპის რესურსცენტრის უფროსი ნათია ილურიძე, რესურსცენტრის თანამშრომლები: თამუნა მამულაშვილი და მაკა ღვინიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლები დალი კორკომაშვილი, სასირეთის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი რუსუდან მაზნიაშვილი.

სკოლის საზეიმოდ მორთული ეზო-მიდამო, შემოგარენი ხალხს ვერ იტევდა. საზეიმოდ ღონისძიება ეზოდან დაიწყო, სტუმრებს ცეკვით შეხვდა სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლი / ხელმძღვანელი თეონა

გუგულაშვილი/ "აისი", შემდეგ ყველამ ერთად გადაინაცვლა სკოლის ფოიეში, სადაც მოწყობილი იყო სკოლის 100 წლიანი ისტორიის ამსახველი ექსპონატებისა და ფოტო-დოკუმენტური მასალების გამოფენა. ამ საინტერესო და ლამაზ გამოფენას კიდევ უფრო ამშვენებდა და ამდი-

ლეონიძეს. ოვაციებითა და აპლოდისმენტებით შეხვდნენ სტუმრებს დარბაზში შეკრებილი დამსწრე საზოგადოება, ისმოდა ქართული მრავალჟამიერიც, რომელსაც ასრულებდნენ სკოლის მოსწავლეები /მუსიკის მასწავლებელი მათა ქაშაძე/, საიუბილეო კონცერტის პრო-

ლიურ სკოლას საჩუქრად გადასცა საკუთარი ხელით შესრულებული გიორგი მაზნიაშვილის პორტრეტი... მთელი ამ საიუბილეო შეხვედრის ერთ-ერთი ამაღლეველი და დაუვიწყარი ეპიზოდი გახლდათ სკოლის დედაწამოსილი, რუსული ენისა ლიტერატურის ყოფილი პედაგოგის ქალბატონ მარგო გოგიაშვილის მიერ საკუთარი ხელით შედგენილი ხელნაწერი ალბომის სახელწოდებით

ასსოვრა. მარგო მასწავლებელს ამ კეთილშობილური საქმისათვის კოლეგებმა და მოსწავლეებმა გულითადი მადლობა გამოუცხადეს, ხოლო კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილემ ბატონმა თამაზ ტატანაშვილმა ფასიანი სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

ღონისძიებები სტუმრები, მოსწავლეები და პედაგოგები დალოცა ხელნაწერი ალბომის სახელწოდებით

საიუბილარო სკოლა



ბოლო ათწლეულში მიღწეული წარმატებების ამსახველი ჯილდოები, მედლები, თასები და სკოლაში ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული პროექტების ამსახველი მასალები... ამაღლეველები, მართლაც რომ შთამაგონებელი იყო სკოლის ცენტრალურ შემოსასვლელში, ყველაზე თვალსაჩინოდ აღვივდა ვარსკვლავის გახსნის ცერემონია, წითელი ლენტის გაჭრის პატივი წილად ხვდათ გუბერნატორის მოადგილეს ნუგზარ სამხარაძეს და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით

გრამა საინტერესოდ, შინაარსიანად მიჰყავდათ სკოლის პედაგოგებს მერა მაზნიაშვილსა და მარინე ბუფიტაშვილს. იყო საინტერესო გამოსვლები, სტუმრები აღფრთოვანებულნი და ემოციურად ვერ იკავებდნენ ამ დაუვიწყარი შეხვედრის გამო, მადლიერებას გამოხატავენ ღონისძიების ორგანიზატორების მისამართით... სტუმრებსა და სკოლის პედაგოგთა კოლექტივს, მოსწავლეებსა და მშობლებს მიესალმა, ისტორიული დღე მიულოცა ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილმა პედაგოგმა, განათლების სისტემაში კარგად ცნობილმა სპეციალისტმა მედეა ბუჩუკურმა. მან თავის რამდენიმეწუთიან გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა, საინტერესოდ ისაუბრა სკოლის დამაარსებლისა და საქვეყნოდ აღიარებული მოღვაწის გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ნიშანდობლივი გახლავთ ისიც, რომ შეხვედრაზე მოსულმა მედეა ბუჩუკურის ვაჟმა ირაკლი მამულაშვილმა თავის მშობ-

“ჩემი სკოლა 100 წლისაა” – პრეზენტაცია. საქმე ის გახლავთ, რომ უხუცესმა პედაგოგმა აქ დაიწყო და აქ დაამთავრა თავისი 56 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა, იგი არის სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულთა უფროსი თაობის მამა და დაუვიწყარ ბებულად შეიძლება ითქვას, რომ მარგო მასწავლებელი არის სასირეთის სკოლის ცოცხალი მათიანე, სწორედ ამიტომ იყო, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ მან აიღო ვალდებულება, დაეწერა სკოლის ისტორია, სხვათა შორის, ამ საშვილიშვილო საქმის შესრულებაში კოლეგებიც დაეხმარნენ, ალბომი მხატვრულად გააფორმა სკოლის კურსდამთავრებულმა გენადი ბუფიტაშვილმა, უდიდესი რულებითა და მონღოლო-დასავლური სკოლისა და სოფლის საარქივო ფოტო-დოკუმენტური მასალები, ასე და ამგვარად შეიქმნა შესანიშნავი ილუსტრირებული ხელნაწერი ალბომი, რომელიც სკოლას უს-

მიძინების ტადრის და სასირეთის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარმა მამა იაკობმა. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ: ზემო ხანდაკის საჯარო სკოლის დირექტორი ინგა ამირეზაშვილი, რომელმაც სკოლას საჩუქრად გადასცა საინტერესო წიგნი “მსოფლიოს ისტორია”, სკოლის კურსდამთავრებული, ვიცეპოლკოვნიკი ალექსანდრე ბარნაბიშვილი, რომელმაც სკოლას საჩუქრად გადასცა “საქართველოს სამხედრო ისტორიის” ორტომეული, შთამბეჭდავი იყო სკოლის კურსდამთავრების ქეთევან ბერიაშვილის მისალმება, რომელიც ქიმიის კურსს კითხულობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და მანვე სკოლას საჩუქრად გადასცა საკუთარი ავტორობით გამოცემული ქიმიის სახელმძღვანელოები... იუბილეზე ხელდამშვენებული მოვიდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიუ



დასასრული გვ-ნ.

საყოფნოვნი სკოლას

დასასრული

ლი სოზიაშვილი, რომელმაც სკოლას უსახსოვრა ღირებული ტექნიკა ბლუთუზ დინამიკა.

— დღევანდელი დღე ჩვენი სკოლის ცხოვრების ისტორიაში ჩაიწერება როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო თარიღი და ძალიანაც ვამაყობ ამ მართლაცდა ისტორიული დღით, — თამამად განაცხადა სასირეთის საჯარო სკოლის დირექტორმა ნანი ბარნაბიშვილმა მისასალმებელ სიტყვაში, — მინდა იცოდეთ, რომ წლებია, ჩვენს სკოლაში წარმატებით ხორციელდება ერთ-ერთი გამაჯობებული სამთავრობო პროექტი “მოგზაურობა დროში”, რომელიც მიზნად ისახავს პენსიონერ პედაგოგებთან და წარმატებულ კურსდამთავრებულებთან პერიოდულ შეხვედრებს და ეს ღონისძიება ცხადია, თავისი “მასშტაბურობითა” და დანიშნულებით სწორედ ამ პროექტის გაგრძელება გახლავთ, დიას, სამთავრობო პროექტი “მოგზაურობა დროში” წარმატებით იკვლევს გზას, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებ ჩემს პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, სკოლის უამრავ მხარდამჭერს.

ღონისძიებას ესწრებოდა თემის დეპუტატი იოსებ დემეტრაშვილი, აქ იყვნენ აგრეთვე, სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობის აქტივისტები გიორგი დემეტრაშვილი და მარეხ

ბერიაშვილი. სტუმართა შორის იყვნენ ფოლკლორული ანსამბლის “სათანაოს” წევრები, რომლის სოლისტია სკოლის წარმატებული კურსდამთავრებული და 2000- იან წლებში სკოლის “მხიარულთა და საზრიანთა კლუბის” გუნდის “იღბლიანი ჯენტლმენების” უცვლელი კაპიტანი ლელა მაზმიშვილი. ღონისძიებას ალამაზებდა სკოლის მოსწავლეების მხატვრული შემოქმედება, იყო სიმღერები და ცეკვები, მხატვრული კითხვა, ემოციური გამოსვლები, აქტიურობდნენ მოსწავლეები: საბა ბერიაშვილი და ანანო ლაფერაშვილი, მარიამ ბარნაბიშვილი და მარი მისურაძე, დამსწრე საზოგადოების წინაშე წარდგა ხალხურ მედია ჩოდრიშვილის მონაწილეობით, იუბილეზე რამდენიმე საესტრადო სიმღერა შეასრულა სკოლის კურსდამთავრებულმა, მრავალ პრესტიჟულ მუსიკალურ კონკურსში გამარჯვებულმა მედია ბეჟიტაშვილმა. მხატვრულ კითხვაში თავი გამოიჩინეს მიხეილ გულიაშვილმა და ზურაბ ბეჟიტაშვილმა, სასიამოვნო სანახავი იყო მოსწავლე-მასწავლებლის მაკა გულიაშვილისა და იოსებ ბერიაშვილის მიერ შესრულებული “ჰერიო, ბიჭებო”. სიტყვით გამოვიდნენ საპატიო სტუმრები: შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ნუგზარ სამხარაძე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯ-

დომარე დავით ლეონიძე, კასპის რესურსცენტრის უფროსი ნათია ილურიძე, დარბაზი ოვაციებით შეხვდა მწერალ დათო ტურაშვილს... საინტერესოდ გამოვიდნენ ოქროს მედალოსნები: ნინო ჭალიაშვილი, ქეთევან მაისურაძე და მაკა გულიაშვილი, აგრეთვე, სკოლის კურსდამთავრებული ცნობილი სახეები: მარი ონეზაშვილი და თამარ კორკოტაშვილი, ეკატერინე ბეჟიტაშვილი და ვენერა დავითაშვილი, ირაკლი დემეტრაშვილი, ტატო ბეჟიტაშვილი და ჯაბა პაპინაშვილი. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ იმ პედაგოგთა შთამომავლები, რომელთა ხსოვნას სათუთად ინახავს სკოლის მატინაე, მაგალითად, სკოლის დირექტორის შოთა ბასტაძის ქალიშვილები, პედაგოგების თენგიზ მაზმიშვილისა და ვენერა ჭალიაშვილის ქალიშვილი, სულხან ბასტაძის ქალიშვილი, რომლებმაც თავის გამოვლლებაში მადლიერება გამოხატეს იმისათვის, რომ იყვნენ ისტორიული შეხვედრის სტუმრები, რომ სკოლა წარმატებით აგრძელებს მათი, აგრეთვე მათი მშობლების დაწყებულ საქმიანობას და ღონისძიების ორგანიზებასა და გალამაზებაში წვლილი შეიტანეს მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმაც, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საგანგებოდ იზრუნა მიხეილ ქოსაშვილმა /დიჯეი/ მუსიკალური და ტექნიკური გაფორმებისათვის, საღამოს დიზანი მთლიანად შეადგინა და გააფორმა სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელმა მარინე ბერიაშ-



ვილმა, ხოლო ოპერატორმა გიორგი ონეზაშვილმა ძალიან იაქტიურა და ფირზე აღბეჭდა მთელი ღონისძიება... დაბოლოს, შეხვედრის დასრულებამდე სკოლის კურსდამთავრებულებმა წამოაყენეს ერთი ფრიად საყურადღებო და საგულისხმო წინადადება, კერძოდ, სასირეთის საჯარო სკოლაში დაიდგას სახელოვანი გიორგი მაზნიაშვილის ბიუსტი და მოეწყოს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების სტენდი. იდეას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

11 სიტყვა, რომელთა გარეშე ქართული ყოფითი კულტურა წარმოუდგენელია

1. ხელგაშლილობა
ორი კომპოზიტი-საგან (ხელი და გაშლა) შემდგარი ეს სიტყვა ქართველთა უმეტესობისათვის დამახასიათებელ გულუხვობას ასახავს.

სიძუძუე, ან თუნდაც ფულის ზომიერად ხარჯვა ქართულ საზოგადოებაში მაინცდამაინც წახალისებული არ არის. ხელგაშლილობა ანუ მატერიალური დაგროვებისადმი ავადებული დამოკიდებულება გაცილებით მოსაწონი და დაფასებულია, ვიდრე ფინანსების შეზღუდვად განაწილება. ეს ალბათ ცოტა უცნაურია დასავლეთის ქვეყნების მცხოვრებთათვის, სადაც გულუხვობა, უმეტესწილად, დეკლარირებული ქველმოქმედების სახით გვხვდება.

ქართველები ხელგაშლილს ისეთ ადამიანს უწოდებენ, რომელიც არ იშურებს საჩუქრებს, მართავეს უხვკერძებიან წვეულებებს, ყიდულობს ძვირადღირებულ ნივთებს, მატერიალურად ეხმარება ახლობლებს და ა. შ. თუ ევროპის უმეტეს ქვეყანაში ასეთი საქციელი უგუნურებად მიიჩნევა, საქართველოში - პირიქით, გულუხვი ადამიანი საყოველთაო აღტაცების ობიექტია.

ხელგაშლილობა ძველ საქართველოში არისტოკრატთა და მეფეთა წესი ყოფილა. ისინი ქვეშევრდომების მიმართ ხშირად იჩენდნენ წყალობას. მაგალითად, "ვეფხისტყაოსანში" თავისი ასულის გამეფების წვეულებაზე მეფე როსტევეანი მეჭურჭლეთუხუცესს მოიხმობს და უბრძანებს, გასცეს სამეფო განძი... მაგრამ საყურადღებოა, რამდენი არა ამ საუნჯის გარკვეული ნაწილი, არამედ უზომო, უანგარიშო, ულევი. შემდეგ კი შვილს არიგებს: "უხვი ახსნილსა დაბაძს, იგი თვითების, ვინ ების, უხვად გასცემდი, ზღვათაცა შთასდის და გაედინების."

2. ნათესავ-მეგობრები
საქართველოში სოციალური ურთიერთობები ჯერ კიდევ გარკვეულწილად კოლექტივისტურია. მეგობრობა და ნათესაობა ამ საზოგადოებაში წმინდათა წმინდა რამაა, რომელსაც ქართველები ძალიან უფრთხილდებიან. ადამიანთა უმეტესი ნაწილი-

სათვის ყოველთვის მნიშვნელოვნად და გადამწყვეტად მიიჩნევა ნათესავ-მეგობრების აზრი და განწყობა. ქართველს სწამს, რომ ნათესავი შეიძლება ძალიან არ გიყვარდეს, მაგრამ მას პატივი უნდა სცე და არ მოიმდურო. მეგობრისთვის კი თავის გაწირვაც მოსულა.

ქართველთა მთავარი წიგნის, "ვეფხისტყაოსნის" ერთი გმირი მეორეს ეუბნება: "მე იგი ვარ, ვინ სოფელს არა მოვკრებ კიტრად, ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად."

1990-იან წლებში სწორედ ნათესავ-მეგობრობის ფენომენმა, ურთიერთდახმარების ტრადიციამ, უსახსროდ დარჩენილი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. ქართველები ნათესავებს (განსაკუთრებით, ასაკით უფროსებს) პატივს სცემენ და ხშირად მათ დარიგებებსაც ითვალისწინებენ, ხოლო მეგობრის თუ ნათესავის შეურაცხყოფას პირად შეურაცხყოფად აღიქვამენ.

3. დროსტარება

დროსტარება ანუ დროის მხიარულად და ბედნიერად გატარება ალკოჰოლის თანხლებით (ქეფი, საუბარი, სიცილი, სიმღერა, ცეკვა) ქართული ყოფის თანამდევია. ასეთი რელაქსაცია ამ ქვეყანაში მცხოვრებთ ძალიან მოსწონთ და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. დროსტარების გარეშე ქართველი მოწყენილია, რადგან თავისი არტისტიკულობის გამოსავლენად ასპარეზი არ გააჩნია. ხოლო ის, ვინც ახლობელ-მეგობრებთან ხანდახან მინც დროს არ ატარებს, თავს დაჩაგრულად გრძნობს. ამგვარი გართობის ერთ-ერთი მთავარი სახე სუფრასთან ქართველთა შეკრებაა - ეს შეიძლება იყოს ქორწილი, დაბადების დღე, აღდგომა, შობა, რომელიმე წმინდანის დღე ან, უბრალოდ, სახელდახელო წვეულება. დროსტარებისას ქართველები ცდილობენ, თავიანთი საუკეთესო თვისებები და უნარები გამოავლინონ; განსაკუთრებით მოსწონთ მრავალხმიანი სიმღერების შესრულება, მჭკვევრმეტყველური სადღევგრძელოების წარმოქმნა. კაცის ღხინში იცნობაო, - ამბობს ძველქართული ანდაზა.

არსებობს

დროსტარების უფრო აღმატებული ფორმა ტაშფანდური. ეს სიტყვა, სავარაუდოდ, ქართული ცეკვისა და სიმღერის ძველი ტრადიციისგან შემორჩა ენას.

ტაშიცა და მუსიკალური ინსტრუმენტი ფანდურიც ქართულ ხალხურ ცეკვა-სიმღერასთან ახლდა. ქართველები ამბობენ, ტაშფანდურა ხალხი ვართ და საუკუნეების ომებს სწორედ ამ თვისებამ გადაგვარჩინაო.

4. ხათრი

ხათრი ძალზე უცნაური ქართული სიტყვაა, რომელიც ძნელად თუ ითარგმნება უცხო ენაზე, ისე რომ მისი ზუსტი მნიშვნელობა შენარჩუნებული იყოს. ის სოციალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი, გავრცელებული ფენომენია. ეს სიტყვა ერთდროულად გამოხატავს ვინმესადმი პატივისცემას, მოწიწებასა და კეთილგანწყობას. როცა ერთ ადამიანს მეორის ხათრი აქვს, ეს ნიშნავს, რომ მის მიმართ განსაკუთრებულ თავაზიანობას იჩენს, საჭიროების შემთხვევაში დახმარების ხელს გაუწვდის და გაიჩვენებს. არსებობს წმინდად ქართული სიტყვითშეთანხმება ჩემი ხათრით, რომელიც ხშირად წინადადების თავში წარმოითქმის, მაშინ როცა ერთი ადამიანი მეორეს რაიმეს გაკეთებას სთხოვს. ხათრი ვინმეს მიმართ ერთგვარი ტვირთი და მოვალეობაცაა; ალბათ ამიტომაც შეიქმნა ქართულ ენაში ფრთიანი გამოთქმა "ხათრი ხათაბაა", რაც იმას ნიშნავს, რომ ხათრის ქონა კაცს რთულ, ხშირად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს და ზოგჯერ იძულებულს ხდის, ისეთი საქმე გააკეთოს ან ისე უჩვეულო ანდა არასასურველია. ქართველი შეიძლება ხათრით ჩხუბშიც კი ჩაებას, ანდა ვინმე მოიმდუროს. ქართულ საზოგადოებაში მიღებული წესია, რომ უმცროსებს უფროსების ხათრი უნდა ჰქონდეთ და ეს ყოფით ურთიერთობაშიც გამოავლინონ. ასევე აღსანიშნავია ამ სიტყვისგან ნაწარმოები ზედსართავი ხათრინი, რომლითაც ძალზე მორიდებულ, თავმდაბალ ადამიანს ახასიათებენ ხოლმე და ამ სიტყვის ზემოთ აღწერილ შინაარსს არ უკავშირდება.

5. სტუმარი
სტუმარი ღვთისაა - საქართველოში ეს ლა-

მის მეთერთმეტე მცნება და საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრებული ფენომენია. ბევრ ქართულ ზღაპარში აღწერილია უცნობი ადამიანის მოულოდნელი სტუმრობა; ეს მასპინძლისათვის გამოცდად იქცევა, რადგან შემდეგ გაირკვევა, რომ კარზე მომდგარი ჩამოდონილი უცნობი სახეცვლილი ღმერთი იყო - იგი მასპინძლის მორალურ-ეთიკური სახის გამოსამკარავებლად გამოცხადდა (ეს შემთხვევა განსაზღვრავს, როგორ წარიმართება პერსონაჟის შემდგომი ცხოვრება). ასეა ზღაპრებში, მაგრამ, რეალურად, წარსულშიც და დღეს დღეობითაც ქართველები სტუმრის დასახვედრად ყოველთვის გულით, მონდობით ირჯებიან. ეს ჩვევა მათ სისხლში აქვთ გამჯდარი. შეიძლება მასპინძელს ფული არ ჰქონდეს, მაგრამ ისეც ხდება და სტუმარს საუკეთესო სუფრას გაუშლის.

ქართველი კლასიკოსის, ვაჟა-ფშაველას პოემაში "სტუმარ-მასპინძელი", რომელიც საკულტო ნაწარმოებია და სკოლებშიც ისწავლება, არის ასეთი ფრაზა: "დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა". სტუმრად მოსვლისას ქართველისთვის მტერიც კი მოყვარედ იქცევა.

სუფრასთან ხანგრძლივად ჯდომაც არამხოლოდ მოღვენება, არამედ სტუმრისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გამოვლინებაცაა. არქანჯელო ლამბერტი, იტალიელი მისიონერი ქართველების სუფრასთან სხდომის წესს გაუკვირვებია. მისი აზრით, ეს დრო ისე გაიწელება ხოლმე, გეგონება, დასასრული აღარ ექნებაო, და აღწერს, როგორი მოწიწებით ეპყრობა ქართველი შინაურ თუ უცხო სტუმრებს.

6. ნიჭიერი

ქართველები ერთიმეორეზე ხშირად ამბობენ, ნიჭიერი იაო; მათ სწამთ, რომ ყველა ქართველი ასეთია, მაგრამ უფრო ხშირად გაიგონებთ, ნიჭიერია, მაგრამ ზარმაციო. ამ ფრაზას ერთმანეთის დასახასიათებლად იმეორებენ და წარუმატებელი ადამიანის გასასამართლებლად სიზარმაცეს იმიზეზებენ. თუმცა, ეს საგალალო რეალობაა. სწორედ ნიჭიერთა სიზარმაცის დამლუპველობას მიუძღვნა ქართველთა მენტალურმა მამამ, ილია ჭავ-

11 სიტყვა, რომელთა გარეშე ქართული ყოფითი კულტურა წარმოუდგენელია

ჭავჭავაძემ არაერთი ესე, ასევე მოთხრობა "კაცია ადამიანი?!" რომელშიც ადამიანის თვითგანადგურების დამთვრებელი პროცესია აღწერილი (რუსეთის იმპერიის ორასწლიანმა ბატონობამ საქართველოში ადამიანის დაამკვიდრა და ალბათ, სიზარმაცის დასახასიათებლად დამკვიდრდა ქართულში იდიომატური გამოთქმა მხარ-თემოზე წამოწოლა).

სამწუხაროდ, ქართველთა უმეტესობას ნიჭიერის სიზარმაცე გასაკიცხ თვისებად სულაც არ მიაჩნია. თითქოსდა ნიჭიერს ყველაფრის უფლება აქვს და ეს ასეც უნდა იყოს. თუმცა, ბოლო ხანს საზოგადოების აზრი თანდათან იცვლება. ქართველის არააქტიური ბუნება ითხოვს გარემომოყვარებისგან ბიძგს, სტიმულს, იბლლიან ჩარევას, რათა თავისი უნარები საქმეში გამოავლინოს. ასე რომ, თუ წარუმატებელ ქართველს გაიცნობთ, იუმორი მოიხმეთ და გახსოვდეთ, რომ ის ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ფიქრობს.

7. თავმომწონეობა

ქართველი ყოველთვის ცდილობს, სხვებისგან გამოჩნდეს იყოს, საზოგადოების წინაშე თავი რაღაცით მოიწინოს. ევროპაში გადასახლებული ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელმაც არაერთი ესე მიუძღვნა ქართველთა ეთნოკულტურულ ყოფას, მართებულად ამჩნევს ჩვენში ღრმად დაფარულ მისწრაფებას აღმატებული შინაურ თუ უცხო სტუმრებს.

მატარებელი. თუმცა, ქართველი ადამიანის თავმომწონეობა ზოგჯერ უსაფუძვლოა, მაშინ როცა პიროვნებას წარმოსაჩენი სინამდვილეში არაფერი გააჩნია. საუკუნის დასაწყისში ეს თვისება შესანიშნავად აღწერა დავით კლდიაშვილმა თავის გენიალურ მოთხრობებში - გალატაკებული არისტოკრატიული ფენის განწირული მცდელობა, საკუთარი სისაწყველ თავმომწონებით შენიღბოს. ამ ნაწარმოებების გავლენით ქართველები ცრუ თავმომწონეებს შემოდგომის აზნაურებს უწოდებენ.

8. წინაპრები

პარადოქსულია, მაგრამ მილენიუმის მიჯნაზე საქართველოში არსებული პრობლემური აწმყოს გამო წარსულის იდეალიზაცია ჯერაც არ დასრულებულა. თანამედროვე ეპოქაში ისტორიასთან, წარსულთან მიჯაჭვულობა ძალზე ანაქრონისტულია, მაგრამ ქართველებისთვის ეს ფენომენი მტკივნეულად ორგანულია და ცოტა არ იყოს, მარგინალურ ფორმებსაც კი იღებს. ამ ე. წ. ბებერი ერისშვილებს საკუთარი ისტორიისა და წინაპრებისადმი ტრავიკულად მგრძნობიარე დამოკიდებულება გააჩნიათ. იმ ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ერი ატარებდა, დღესაც ღირებულად მიიჩნევა და, შეიძლება ითქვას, აქამდე გადაუფასებელია. ქართველები გამოჩნულ პატივს მიაგებენ ისტორიულ გმირებს, ძალიან უყვართ სახელოვანი მეფეები, განსაკუთრებით, თამარი ოქროს ხანის ქალი მონარქი. ბევრი ისტორიული მოღვაწე ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ქართულ სუფრაზე ყოველთვის ისმება წინაპრების სადღევრძელო და მასში არამხოლოდ ისტორიული პერსონაჟები იგულისხმება, არამედ იქ მყოფთა წინაპრები. ქართველებს უყვართ საკუთარი ბებიაპაპების (თუ უფრო შორეული წინაპრების) ღირსებებზე ლაპარაკი და ამით (ხშირად გაბუქებულად) ტრახახი, ხოლო უდიდესი წინაპრების შესახებ თავშეკავებით ღუმან და მათ არსებობას მალავენ.

დასასრულის წაკითხვას შეძლებს ჩვენი ხელმოწერი 2020 წელს.

პედაგოგების მიმართ მრავალი სამადლობელი მოგვისმენია, თავადაც არ დაგვიფარავს სიყვარული და პატივისცემა... და რაც უფრო ხშირად ვამბობთ მადლობას მით მძაფრად ვხვდებით, როგორ ვართ დავალებული ჩვენი მასწავლებლების წინაშე.



წინარეხის საჯარო სკოლაში

გაწილენა

იყო საერთო მხარულება და ემოციური განწყობა, გარდასული დღეების გახსენება, სისხარული, თუმცა, ამ აღფრთოვანებასა და წარსულის თბილ განცდას სევდანარევი განწყობაც ახლდა. პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები, ყველა ერთად

შეიკრიბა და ერთმანეთს გული გადაუშალა, ერთი სიტყვით, იყო მოფერები-სა და ერთად ყოფნის სურვილი და კიდევ, ვალმოხდილი და ამფადარი, დამსახურებული მასწავლებლების გაცილების დრო... დიდი და პატარა ევერებოდა, მადლობას უხდიდა გაწეული შრომისა



ფილ დირექტორებს, ქალბატონებს როზა ირემამშვილსა და ლამარა მერე-ბაშვილს. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ წინარეხის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი მარინა სისუაშვილი /პროგრამა - "ასწავლე საქართველოსთვის" მასწავლებელთა სახლის წარმომადგენელი/, რომელმაც ძალისხმევა არ დაიშურა, რათა ეს დღე ლამაზი და შინაარსიანი, დაუვიწყარი ყოფილიყო.

დღე, რომელიც მიემდგნა ღვაწლმოსილი პედაგოგების გაცილებას...

და ამავსათვის საამაყო, კეთილშობილ პენსიონერ პედაგოგებს, სკოლის ყო-

ქართული საშვილოების წყვეტილი წინააღმდეგობა

სამეგრელოს კულინარია ისეთივე ეგზოტიკური და თვითმყოფადია, როგორც საქართველოს ამ რჩეული მხარის მწვანე, მრავალფეროვანი ლანდშაფტი. აქაური სამზარეულო თავისთავად ჰგავს სამეგრელოში მცხოვრებ მშვენიერ და თავმომწონე ხალხს, რომელიც საკუთარი ისტორიისათვის მთელი უგემრიელები კერძების თავისებურების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მათი მწარე (ცხარე) გემოა; ამ კუთხის ჩინებული კულინარია მთელი ქართული სამზარეულოს საუკეთესო ნაწილია და ის სხვა რეგიონებშიც გავრცელებულია. თუმცა, მეგრული მზარეულები მაინც თავიანთი საქმის დიდოსტატებად რჩებიან - არსად არის მეგრული კერძი ისეთი გემრიელი, როგორც სამეგრელოში. ამ კერძების გემოს შესახებ ბევრი ისტორიკოსისა თუ მოგზაურის ჩანაწერებში ამოკითხავთ, მათ შორის, დონკრისტოფერო დე კასტელის, ჟან შარდენისა და სხვა კათოლიკე მისიონერებისა თუ ვაჭართა ისტორიკოსების. ბურღულეული, ყველი, ხორცი, თევზი, მხალეული, ბოსტნეული თუ სხვა - მნიშვნელობა არა აქვს, რას მიირთმევთ,

მეგრული ნახევრადმშრალი მწარე საწებელი - აჯიკა თითქმის ყველა კერძის თანმხლებია. ის ცხარე წითელი წიწაკის, სხვადასხვა მწვანის, ნივრისა და ხმელი ქართული სუნელების ნარევი, რომლითაც კერძებს კმაზავენ, ანდა ცალკე პატარა ჭურჭლით, მისატანებლად მოგართმევენ. როგორც კულინარიის სპეციალისტები ამბობენ, ეს უნიკალური ჩაჭნი, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ელექსირიცაა, რადგან საკმაზების ასეთი ერთობლიობა იმუნიტეტს აძლიერებს და მავნე ბაქტერიებს ებრძვის. უძველესი დროიდან სამეგრელოში აჯიკა განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა, რადგან აქაური სუბტროპიკული ჰავა მაღარაისა და სხვა დაავადებების გავრცელებას ხელს უწყობდა. აჯიკა და სხვა ცხარე საკვები კი ბუნებრივ ანტიბიოტიკურ საშუალებებად იქცა. მეგრული სამზარეულოს უმთავრესი თანმხლები კერძი მსუბუქად მისართმევი, რბილი, ნეიტრალური გემოს მქონე გარნირი - ღობია. ეს გახლავთ მსხვილად დაღვრილი სიმინდის მარცვლებისა და სიმინდისავე ფქვილისაგან მოხარშული

ერთგვარი ფაფა (ცოტათი იტალიურ პოლენტას ჰგავს), რომელიც საყოველთაოდ გავრცელებულია და მის გარეშე მეგრული სუფრა წარმოუდგენელია. გვიანდელ შუასაუკუნეებამდე, სიმინდის კულტურის საქართველოში შემოსვლამდე, ამ კერძს ამზადებდნენ ქართული ენდემური ბურღულეული მცენარის ნაყოფისგან, რომელსაც ღობი ჰქვია. სიმინდმა ის თანდათანობით განდევნა, თუმცა ბოლომდე - ვერა. ამიტომ დღესდღეობით მისგან დამზადებულ ფაფას ღობის ღობს უწოდებენ და ის გამორჩეულად გემრიელია. თევზზე გადმოღებულ ცხელ-ცხელ ღობში მეგრელები ცხიმინი ყველის ნაჭრებს (უმთავრესად, სულგუნს) ალაგებენ. ყველი ფაფაში ნაწილობრივ დნება, პროფლებს ათავისუფლებს და მირთმევისას იწელება. ღობი ნებისმიერ მეგრულ კერძს ძალიან უხდება და პურის მაგივრობას სწევს. ასევე პურის ნაცვლად მიირთმევენ მეგრელები სიმინდის ფქვილისგან გამომცხვარ კვერებს - მჭადებს და ჭვიშტარს - სიმინდისა და გახეხილი ყველისგან დამზადებულ უგემრიელეს ფუნთუშეულს. განსაკუთრებით გემრიე-

ლია ნაკვერჩხალზე შემოდებულ კეცზე (კერამიკულ ტაფაზე, რომელსაც ზემოდან ხშირად თუთის ფოთლებს აფარებენ) გამოცხვარი მჭადი და ჭვიშტარი. ორივე მათგანი მეგრულ ცხ-



არე და ნიგვზიან კერძებს ძალიან უხდება. ღობის ერთგვარი ნაირსახეობა კი მეგრული სუფრის მშვენიერ ელარჯი გახლავთ. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ელარჯის დამზადებისას ყველისა და სულგუნის ნაჭრები ღობს ხარშვისას უნდა შეეზილოს, ისე რომ ფაფის ერთიანი მასა მივიღოთ.

შებოლილი სულგუნით გადახედილი ელარჯი განსაკუთრებით გემრიელია. ეს კერძი შეიძლება მიირთვათ როგორც გარნირად, ისე აპეტაიზერად აჯიკასთან ერთად.

მეგრული მთავარი კერძების დელოფლად საცივი მიინევა. ეს გახლავთ ინდაურის (ან ქათმის) უგემრიელესი ნახევრად წვნიანი სადილი, რომლის სოუსიც ადგილობრივი ნიგვზის (მას, საზოგადოდ, ბერძნულ ნიგოზს უწოდებენ), ფრინველის ბულიონის, მო-

შუშული ხახვის, ნივრის, წიწაკისა და რამდენიმე სურნელოვანი ხმელი (დაჭეული) ქართული სანელებისგან მზადდება.

მოხარშული და შემდეგ შებრაწული, სოუსში მოთავსებული ფრინველის ხორცი ნიგვზისა და სუნელების განსაკუთრებული არმატებით იფლინთება და მას მსოფლიო სამზარეულოში ანალოგი არა აქვს. ეს სადღესასწაულო კერძი მეგრული კულინარიის ზემოთ, გემოების ნამდვილი ფეიერვერკი, მსუყე, სასარგებლო და მაწიერი. საერთოდ, ნიგოზი მეგრული კერძების ერთ-ერთი განუყრელი სანელებელია.

ნიგვზიანი სოუსითაა შეზავებული მეგრული სამზარეულოს კიდევ ერთი უგემრიელესი ნახევრად წვნიანი კერძი - ხარჩო. ხორცის ნახარშში, საცივისგან განსხვავებით, ნიგოზსა და სუნელებთან ერთად წამოადუღებენ დაქუცმაცებულ პომიდორს, უფრო ძველ კერძებში კი - კვარარასს (ტყეფლის, ანუ ენდემური ქლიავის სახეობის, კონცენტრირებული მჟავე სიროფი). ხარჩო როგორც საქონლის, ისე ქათმის ხორცისაგან მზადდება.

ყველეული და რძის პროდუქტები მეგრულ სამზარეულოში ჭარბად გამოიყენება, მათ შორის, ეწ. ქართული პიცის, ზაჭაპურის მომზადებისას. აქაური სულ-

გუნ და სხვა სახის ყველები საქართველოს დანარჩენი კუთხეების ნაწარმს უფრო მეტად აქტიური გემოთი სჯაბნის. განსაკუთრებით გემრიელია მეგრული ნადული (მდნარი ყველისა და ხაჭოს მსგავსი ავთენტური პროდუქტი).

ყველის უგემრიელეს კერძებს შორის საუკეთესოა გებჟალია, რომელიც არა მხოლოდ ქართველებს, არამედ ყველის სამშობლოდ აღიარებული ქვეყნების კულინარებსაც აოცებს. გებჟალია ჭყინტი (ახალი) ყველისგან მზადდება, რომელსაც რძეში ხარშავენ, შემდეგ ყველის მასას აბრტყელებენ, პიტნის, ქინძისა და წიწაკის გულსართით კმაზავენ და რულეტის მსგავსად ახვევენ. დაჭრილ ხვეულებს ნადულისა და რძისგან მომზადებულ სოუსში ალაგებენ. გებჟალია, არნახული გემოების ნახავი, რჩეული აპეტაიზერია.

ხორცისა თუ შიგნეული სუნელებით დაბუზავება მეგრული სამზარეულოს ერთ-ერთი შეუდარებელი მიგნებაა. ასეთ კერძებს შორის კუჭმაჭი და კუჭატი განსაკუთრებულია.

კუჭმაჭი საქონლის გულის, ფილტვის, ღვიძლისა და ნაწლავებისგან დამზადებული უგემრიელესი ცხელი კერძია; წვერილად დაჭრილ მოხარშულ შიგნეულს ხახვსა და ადგილობრივ საკმაზებთან

ერთად ხრაკავენ; მის მრავალფეროვან გემოში მძაფრად შეიგრძობა ნივრისა და ქონდრის არომატი. კუჭატი კი მეგრული ძეხვის ერთგვარი სახეობაა - ღობის ნაწლავში ჩატენილი გოჭის შიგნეულის, სანელებლებისა და წიწაკისგან მომზადებული უგემრიელესი დელიკატესი, რომელიც პატარა რგოლებად შეკრულია.

მეგრული სუნელების ძირითად ჩამონათვალში დომინირებს უცხო სუნელი, ხმელი ქინძი, ზაფრანა (ყვითელი ყვავილი), ქონდარი, ხმელი წითელი წიწაკა და ა. შ. ასეთი საკმაზებით ამუშავებენ მეგრელები შემწვარ ვარიას, გოჭსა და ციკანს. ისტორიული კერძების აღწერისას რძეში მოხარშულ და შესუნელებულ ციკანს ხშირად მოიხსენიებენ.

სამეგრელოში შემწვარ ხორცთან, აჯიკის გარდა, აუცილებლად მოგართმევენ ტყეფლის ან პომიდვრის ცხარე საწებელს, ანდა ბაჟეს, რომელიც საცივის წვენი მსგავსი, ნიგვზის სოუსისა, ოღონდ წყალზე მზადდება და არ იხარშება.

მეგრულ კერძებს, რაღა თქმა უნდა, შესანიშნავად ეთვისება ადგილობრივი ენდემური ყურძნისგან (მათი რიცხვი 60-ს აღწარბებს) დაწურული ღვინოები, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია ოჯალეში - ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო.

✦ ოთარ ჭილაძე
სამშობლოს
შენა ხარ ჩემი ჯილდოც,
სასჯელიც,
გულზე ახლოს ხარ და
ღმერთზე ზემოთ,
ჩემო ტანჯულო, ჩემო
მტანჯველო,
დაუღვეველო სამშობლო
ჩემო!
შენთან ვარ, მაგრამ მაინც
დაგეძებ,
როგორც დაეძებს საჭ-
მელს მშობერი
და ამ პატარა მიწის ნა-
გლვეზე
შემადრწუნებლად ვარ ბედ-
ნიერი.

✦ ნორა ედიშერაშვილი
და
ვლოცულობდით!
ვილატა წუხელ უკრავდა
შოპენს...
მუსიკა ზეფირს მისდევს
და ერთვის...
ვარდის მაისი ქარავდა
სოფელს
და ვლოცულობდით მეცა
და... ღმერთიც!
დალილი ღამე ლულავ-
და თვალებს,
ღუმდნენ სახლები, რულ-
დაძღვეულნი,
ღრუბლების მალა მი-
ჭქონდათ ქარებს,

ფიქრები ჩემი, ლოცვად
ქცეული...
გზა ხერვილებით არის
სავალი,
მზით სავსე გვინდა ქართუ-
ლი ჭერი...
უფალო, ახლა არის მთა-
ვარი,
გადავიჩინო სამშობლო
ჩვენი!...
ვილატა წუხელ უკრავდა
შოპენს,
მუსიკა ზეფირს მისდევს
და ერთვის...
თეთრი ვარდები ათოვდა
სოფელს,
და ვლოცულობდით მეცა
და... ღმერთიც!



✦ მაყვალა გონაშვილი
ფერიცვალე
ეძებდნენ ერთურთს, ვით
გამართლებას,
ღმერთი და კაცი, კაცი და
ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები
მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გვეო-
ნათ თეთრი.
მე არც კი მახსოვს,
როგორ შემაჭრეს
ფრთები და ზეცის კარი
დამხშვეს,
ჯერ ამხილეს თვალები,
მერე
ზეცის ეკლიან მკერდზე
გამიშვეს.
და მიწა, როგორც დაღ-
ლილი კაცი,
ჩემან ითხოვდა შევლას
და აღერსს,
ხან მიწყობოდა სულ
უმიზეზოდ,
ხან მპირდებოდა ზურ-
მუხტს და ლალებს.
ეჭვიანობდა უზომოდ
ქარზე,
ხანაც მიგებდა ფეხთ იის
ნოხებს,
მე ვიცი, თუკი ერთხელ
დაგვეცი
ანდა დავხარბდი, გულს
მოიხებეს.
ზეცა ხარხარით და მუქ-
ლურჯ თალებს
შეზარავს ჩემი ქალთან
მსგავსება,
მუხლი სუსტი და თვალე-
ბი ხარბი
და წამიერი ვნებით აესე-
ბა.
ნუთუ არ იცის ცამ ყოვ-
ლისმცოდნემ
ფერიცვალე რისი ბრა-
ლია,
რომ ფრთებდაჭრილი და
თვალხილული
თვით ანგელოსიც სუსტი
ქალია.
ეძებდნენ ერთ-ურთს, ვით
გამართლებას
ღმერთი და კაცი, კაცი და
ღმერთი,
მე კი დაჭრილი ფრთები
მეჭირა,
თქვენ რომ მარაო გვეო-
ნათ თეთრი.

✦ მარი თაბაგარი
ერთ(ი) გული
(ყველა ჩემს მეგობარს)
მხარი გაწუხებს?
დამყრდენი, ნულარ ორ-
ჭოფობ, მე მეგობრობა
ასეთი და ამგვარი მესმის;
ჩიტის რძე თუკი
მოგიშუშებს ნატკენ ჭრი-
ლობას,
ჰო, შევეცდები,
ის ჩიტის რძე ვიშოვო
შენთვის.
ახლაც და მერეც მე ვიქნე-
ბი ხარი წიქარა,
ვერ დამაბრკოლებს
ცხრა კლიტე და ცხრა
რკინის კარი
და რომ დაგჭირდეს,
ცხრა მთას ფეხით გად-
მოვიქროლებ,
მერე შენს ომშიც
საიმედო ვიქნები ფარი.
ხედავ, ორღობე
გაარღვია პატარა ლეკე-
მა?! ალბათ იქ ფისო
ვეულებს, ცოტა მშიშარა;
მჯერა, უნდოდა,
ეთქვა თავის დარდი და
კენესა, რომ შიში აფრთხ-
ობს
მეგობრობას, უბნელებს
შარას.
ერთი პულსი გვაქვს,
მეგობარო, ერთ ჰაერს
ვსუნთქავთ,
ხან ახლოს მყავხარ,
ხანაც მივჭირ ვით ნები-
ერა და თუკი სადმე
მისი ბედიც ამოვიუნთქე,
გახსოვდეს, შენთვის

✦ წუთიც, წამიც მეტეზნიერა.
მე ის ვარ, შენ რომ
თვალახვეულს და
ქარაფთან მდგომს
შემოგაბრუნებს,
უსათუოდ ჩაგიკრავს
მკერდში,
რატომღაც დღის და
ღამის ფერი რომ ვერაფ-
რით თმობს,
მაგრამ მეგობარს
მზის სხივით პოულობს
ღმერთში...
ჩემი ვენები
ისე იწყებს დახეთქვას
თითქოს,
რომ აზვირთებაც
ზედმეტია ახლა ამ სისხ-
ლის.
შენ ის გჭირდება?
წვეთად არა, უფრო მეტს
გითმობ და არ აგითვლი,
აგიწონი ადლით და მისხ-
ლით.
თუ დაგჭირდება, მენდე,
ცოტნეც ვიქნები შენთვის,
ოცდაათ ვერცხლსაც ვერ
დამითვლი შენ მე ჯიბეში,
მამლის ყვირლზე
ვიამყვებ, რომ ვარ შენს
გვერდით და ვისაც უნდა,
სიყვარულში გავეჯობებ.
მხარი იტკინე?
დამყრდენი! მინდოდა
მეთქვა, ნუ მეკითხები,
ამ ცხოვრებამ თუ მე რა
მიყო.
ოღონდ სულ მცირე,
ერთი გულის მასმინე
ფეთქვა, რომელსაც ორად
არასოდეს არსად გამიყოფ!

✦ მუხრან მაჭავარიანი
სამშობლოს ჩემსას
სამშობლოს ჩემსას იშვი-
ათად უგრძენია შვება, -
საყილა თავისობას ის
რადგან სხვების.
მას დღემდე ბევრი სისაძ-
გლე შესძინეს სხვებმა;
-იგია, მოკლედ, საკუთარი
სიკარგის მსხვერპლი.
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, -
ვინც საქართველოს
ესწრაფვის ქართულს!
არა ცრუქართულს! -
ნამდვილად ქართულს!
სიტყვითურთ ქართულს!
-საქმიანურთ ქართულს!
სულს მივცემ ჩემსას
მე იმას მარტო, -
რომელსაც ვატყობ! -
კოჭებში ვატყობ! -
არის ყველაფრით
ყოველმხრივ სანდო
და საქართველოს
იმნარის ნატრობს, -
ნატრობს
როგორსაც
ქართველი
მარტო!

✦ ნინო მორდუკილაძე
ტალახს ნუ შეაყრი
ანგელოზს, ციციკორე!
ტალახს ნუ შეაყრი ან-
გელოზს, ციციკორე,
ყველას ხელები გვაქვს
ცოდვიანი...
ბედი ცაში წყდება,
ბედი, თორე...
უცოლოც კაცია და ცო-
ლიანიც...
ფუფალა თუ მორადვევს
ოღროზოღროს,
წუმებს აიტაცებს კაბის
კალთა...
შიოლა... ყველასია... ყვე-
ლა გოგოს
უნდა კაცი სწორედ
მაგისთან...
გთხოვ, ნუ შეაფურთხებ,

✦ ანგელოზს ციციკორე,
შენც ხომ ხელები გვაქვს
ცოდვიანი...
ბედი ცაში წყდება,
ბედი, თორე...
უცოლოს ერქმეოდა ცო-
ლიანიც...
ლოდებთან დაჩოქილს,
ნანგრევთან სიკვდილი,
ჩაქოლილ ანგელოზს
დასცქერის ქვის ყორე...
ერთადერთს,
ერთადერთს,
დაკარგულს მივტირი...
სული ტალახისთვის,
ცოდვია, ციციკორე...

✦ “არ ვიქნებით არავისი
მონა!”
აქ სრულიად საქართვე-
ლო იდგა,
წმინდანები ირგვლივ
ჰუნდნენ ნათელს...
დავით მუფე დიდგორულად,
მედგრად,
კვლავ ბრძოლისკენ მოუხ-
მობდა ქართველს...
გაბრწყინებულ ივერიას
ვხედავ!
თეთრ გიორგის ქაშუეთის
კართან -
ქრისტეს ლაშქრის
სწორუპოვარ მხედარს,
კვლავ იფარავს ღვთისმ-
შობელის კალთა!
ვიცი, ღამე ცუდად გძინავს,
შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწ-
ყრები ბრაზით...
სვეტიცხოველს ჯანდი
გადაშორდა,
საქართველოს ღვთის ბე-
ჭელი აზის!

✦ ევეკნია მამულაშვილი
დედავ!... სიცოცხლის მშო-
ბელო,
მზეო მთისა და ველისა,
ყველა ჭრილობის მალა-
მო,
განმკურნებელო სენისა.
სამყაროს დედაბოძო და
მოდვარო დედაენისა,
პირველო მასწავლებელო,
მშობელო ღვთისმშობე-
ლისა.
თესლო და გამმრავლებე-
ლო
ადამიანთა მოდემისა,
ბურჯო და ციხის გოდო-
ლო
სიყვარულის და ნდობისა.
კაცთ სალოცავო საყდა-
რო,
ჩვენი მომავლის იმედო,
ბევრჯერ ხმალსაც კი
იქნევიდი,

✦ ჯვარი რომ ტუნზე მივე-
ლო!
მტერს მამაცურად ხვე-
ბოდი,
როგორც ვაჟკაცი კაცია,
ამიტომ სიყვარულითა
დაგარქვეს დედაკაცია!
კაცობდი, ნაღდად კაცობ-
დი,
თუკი საჭიროდ ხედავდი,
წელზე ხმალდაკიდებული
გუთნის დედობას ბედავ-
დი.
ლაშქრად მიმავალ ქმარ-
შვილსა იმედით გადახე-
დავდი,
ქვეყნისა საშიშროებას
ქალურ ალლოთი ხედავ-
დი.
იყავ და კიდევ დარჩები
ვაჟკაცობისა მგმობელი.
სილამაზის და სიცოცხ-
ლის მარად იქნები მშო-
ბელი.

✦ ვაჟა ოთარაშვილი
ლოცვა რუსთაველზე
ვიცი, ღამე ცუდად გძინავს,
შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწ-
ყრები ბრაზით...
რუსთაველზე ვნახე წუხ-
ელ შოთა,
გვერდით ედგა მეფე ფარ-
ნავაზი...
ილიას და წერეთელის
ძეგლთან
თერგდალეულ ერის მა-
მებს შევხვდი...
“ვაჟა არ ჩანს“ - დავა-
პირე მეთქვა
და შეირხა მთაკაცივით
ვერხვი...
გურამიშვილს მხარში
ედგენ ლეკნი,
უფიცავდნენ ერთგულებას
ყონალს...
სჭექდნენ სამას არაგველ-
თა ლეკვნი:

✦ ვაჟა ოთარაშვილი
ლოცვა რუსთაველზე
ვიცი, ღამე ცუდად გძინავს,
შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწ-
ყრები ბრაზით...
რუსთაველზე ვნახე წუხ-
ელ შოთა,
გვერდით ედგა მეფე ფარ-
ნავაზი...
ილიას და წერეთელის
ძეგლთან
თერგდალეულ ერის მა-
მებს შევხვდი...
“ვაჟა არ ჩანს“ - დავა-
პირე მეთქვა
და შეირხა მთაკაცივით
ვერხვი...
გურამიშვილს მხარში
ედგენ ლეკნი,
უფიცავდნენ ერთგულებას
ყონალს...
სჭექდნენ სამას არაგველ-
თა ლეკვნი:

✦ ვაჟა ოთარაშვილი
ლოცვა რუსთაველზე
ვიცი, ღამე ცუდად გძინავს,
შფოთავ,
ხან საკუთარ თავს უწ-
ყრები ბრაზით...
რუსთაველზე ვნახე წუხ-
ელ შოთა,
გვერდით ედგა მეფე ფარ-
ნავაზი...
ილიას და წერეთელის
ძეგლთან
თერგდალეულ ერის მა-
მებს შევხვდი...
“ვაჟა არ ჩანს“ - დავა-
პირე მეთქვა
და შეირხა მთაკაცივით
ვერხვი...
გურამიშვილს მხარში
ედგენ ლეკნი,
უფიცავდნენ ერთგულებას
ყონალს...
სჭექდნენ სამას არაგველ-
თა ლეკვნი:

✦ ევეკნია მამულაშვილი
დედავ!... სიცოცხლის მშო-
ბელო,
მზეო მთისა და ველისა,
ყველა ჭრილობის მალა-
მო,
განმკურნებელო სენისა.
სამყაროს დედაბოძო და
მოდვარო დედაენისა,
პირველო მასწავლებელო,
მშობელო ღვთისმშობე-
ლისა.
თესლო და გამმრავლებე-
ლო
ადამიანთა მოდემისა,
ბურჯო და ციხის გოდო-
ლო
სიყვარულის და ნდობისა.
კაცთ სალოცავო საყდა-
რო,
ჩვენი მომავლის იმედო,
ბევრჯერ ხმალსაც კი
იქნევიდი,

✦ ევეკნია მამულაშვილი
დედავ!... სიცოცხლის მშო-
ბელო,
მზეო მთისა და ველისა,
ყველა ჭრილობის მალა-
მო,
განმკურნებელო სენისა.
სამყაროს დედაბოძო და
მოდვარო დედაენისა,
პირველო მასწავლებელო,
მშობელო ღვთისმშობე-
ლისა.
თესლო და გამმრავლებე-
ლო
ადამიანთა მოდემისა,
ბურჯო და ციხის გოდო-
ლო
სიყვარულის და ნდობისა.
კაცთ სალოცავო საყდა-
რო,
ჩვენი მომავლის იმედო,
ბევრჯერ ხმალსაც კი
იქნევიდი,

✦ ევეკნია მამულაშვილი
დედავ!... სიცოცხლის მშო-
ბელო,
მზეო მთისა და ველისა,
ყველა ჭრილობის მალა-
მო,
განმკურნებელო სენისა.
სამყაროს დედაბოძო და
მოდვარო დედაენისა,
პირველო მასწავლებელო,
მშობელო ღვთისმშობე-
ლისა.
თესლო და გამმრავლებე-
ლო
ადამიანთა მოდემისა,
ბურჯო და ციხის გოდო-
ლო
სიყვარულის და ნდობისა.
კაცთ სალოცავო საყდა-
რო,
ჩვენი მომავლის იმედო,
ბევრჯერ ხმალსაც კი
იქნევიდი,



ვიეპროგრამი

... თუ გზოვლებს არ სხალიათ

კარგა ხანია ვრდი-
ლონთ თქვენთვის საინ-
ტერესო თემებზე გე-
საუბრობთ, უფრო სწორად,
ისეთ რამეებზე და ისეთ
ვინმეებზე, რომელთა
შესახებ მშობლებს უზარე-
ბათ (ან არ სწავლიათ!) რომ

გიაშონ. თქვენ ახლაც უფრო
ბევრი ირთ ვიდრე მარშან
და თუ სმირად ნაიკითხავთ
ჩვენს გაზეთს, მართლაც,
ბევრ საინტერესო და სა-
სიამოვნო სიახლეს შეიტყ-
ობთ მსოფლიოში გაფან-
ტულ სანაცმელო მუხეუყმე-

სა თუ ატრანქრონებზე, ნუ-
აღქვეშა სასახლეებსა და
მალულ საგანძურზე...
ნინ მოულოდნელად
საინტერესო შეხვედრები
გვლოდებოდა, ოღონდ ამის-
თვის აუცილებლად უნდა
გამოინეროთ გაზეთი “ახა-
ლი განთიადი”!

მამ ასე, მო-
ბრძანდით რედაქცია-
ში! გააფორმეთ ხე-
ლომონერა, დატოვეთ
თქვენთვის საინ-
ტერესო შეკითხვები
და უახლოეს ნომერში
მიიღებთ პასუხს.
„აკესურა..“



ნარმაზება ღაგვებედოს



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე დგებუაძემ რეგიონების მასშტაბით საუკეთესო შედეგების მქონე ეროვნული ოლიმპიადების მონაწილე 207 მოსწავლეს სხვადასხვა პრიზი და ფულადი ჯილდო გადასცა.

ამ ტიპის დაჯილდოება ოლიმპიადების ისტორიაში წელს პირველად გაიმართა და მისი მთავარი მიზანი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოსწავლეთა წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენაა, რაც მიმართულია მოსწავლეებში მოტივაციის

გაზრდისკენ. რეგიონების მიხედვით საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეთა გამოვლენა ოლიმპიადის პირველი და მეორე ტურის შედეგების გათვალისწინებით, საგნებისა და კლასების შესაბამისად მოხდა.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება და წელს მასში მონაწილეობა საჯარო და კერძო სკოლის - კლასების 35000-მდე მოსწავლემ მიიღო.

ვულოცავთ მირიან ჩაღუნელს, ლიკა ლავრელაშვილს და ლალი ოსიყვიშვილს და ვუსურვებთ წარმატებას!

მრავალ გამარჯვებას ველოდებით მომავალშიც!



შეგიძლიათ, მთგაწმდით თქვენი შვილოების, შვილიშვილოების ანტიცინალური თეოდები,



შეხვედრამდე



გამოიწერეთ გზებით „ახალი განთიარღი“!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თაინისუფალი პრესის პრინციპით. სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი შაჰბაგის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქციო მასალები და განხილვების შედეგები რედაქცია პასუხს არ აბეჭდვს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქცორი ნანა შარვაშიანი
რედაქციის მისამართი:
 2600 ქ ქანაი
 საბაჰის ქ. № 68
 ტელეფონი 22-25-76